



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის №167/13¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

სტუდენტი - თინათინ ჯაჯანიძე

ფაქტები:

ადვოკატმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე აიღო ვალდებულება წარმოედგინა კლიენტის ინტერესები საკასაციო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეზე. ადვოკატმა მოამზადა საკასაციო საჩივარი, რომელიც არ დააკმაყოფილა უზენაესმა სასამართლომ. კლიენტს სურდა აღნიშნულის გასაჩივრება და იმავე ადვოკატს დაავალა მისი ინტერესები წარმოედგინა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. შემდგომში მისამართებზე ადვოკატს გაგზავნილი შეტყობინებები არ ბარდებოდა, ტელეფონის ნომერზე კლიენტი ადვოკატს ვერ უკავშირდებოდა. ადვოკატმა არ მიაწოდა კლიენტს სწორი ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის შესახებ, ადვოკატმა არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობა.

პროცესუალური ისტორია:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა კლიენტმა და მოითხოვა ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 6.2, აპკ-ის მ3, 8.5, 8.6, 8.15 მუხლების დარღვევის ფაქტებზე.

სამართლებრივი შეფასება:

კლიენტის მიერ ადვოკატისთვის წარმომადგენლის უფლებამოსილების მინიჭებისას, ადვოკატი იღებს ვალდებულებას მისი სახელით და მის ნაცვლად განახორციელოს ყველა ის საპროცესო მოქმედება, რაც საქმის წარმოების პროცესში იქნება აუცილებელი, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული იმ საპროცესო მოქმედებებისა, რომელიც უშუალოდ მარწმუნებელმა უნდა განახორციელოს. ეთიკის კომისიამ კლიენტის დროული ინფორმირება, გადაწყვეტილების მიღების დროს ადვოკატსა და კლიენტს შორის უფლებამოსილების გადანაწილებას დაუკავშირა. ეთიკის კომისია მიიჩნევს, ადვოკატს უფლება აქვს ის სავარაუდო თანხა, რაც შეიძლება ექვივალენტური იყოს ადვოკატის მიერ განხორციელებული მომსახურებისა, გამოქვითოს გადახდილი ჰონორარიდან, ხოლო დარჩენილი ნაწილი კი უნდა დაუბრუნდეს კლიენტს. ეთიკის კომისიამ ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ადვოკატმა კლიენტს არ გაუწია კვალიფიციური და კეთილსინდისიერი მომსახურება, არ მიაწოდა მას სწორი ინფორმაცია მის საქმესთან დაკავშირებით, ხოლო შემდეგ არ ჰქონდა კლიენტთან კომუნიკაცია. ადვოკატმა არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობა ადვოკატთან დაკავშირების შეუძლებლობის გამო, კლიენტმა ვერ დაიბრუნა ადვოკატისთვის გადაცემული დოკუმენტაცია და გარკვეული მტკიცებულებების მოპოვება ხელახლა დასჭირდა, რაშიც დაიხარჯა, როგორც დროის, ისე ფინანსური რესურსი. ადვოკატის არაეთიკური ქმედებები

¹ <https://www.gba.ge/pdf/5c484b31b1fde.pdf/5c484b31b1fde.pdf>

არა მხოლოდ კლიენტისათვის და ადვოკატის პროფესიული საქმიანობისათვის არის რისკის შემცველი, არამედ საფრთხეს უქმნის საზოგადოების ნდობას ადვოკატთა კორპუსის მიმართ.

დასკვნა:

ეთიკის კომისიამ დაადგინა ადვოკატის მხრიდან ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 6.2, აპეკ-ის 3, 8.5, 8.6, 8.15 მუხლების დარღვევა და ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განსაზღვრა გაფრთხილება.